

**გამჭვირვალობის კოლეგიალური შეფასების
განმახორციელებელი ვიზიტი**

14-15 ნოემბერი 2018

**დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული
ცენტრის რიჩარდ ლუგარის სახელობის
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი
ცენტრი**

თბილისი, საქართველო

1. 2018 წლის 14-15 ნოემბერს, 22 წევრისაგან შემდგარი ექსპერტთა და დამკვირვებელთა გუნდი ეწვია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევით ცენტრს (ლუგარის ცენტრი). ვიზიტის ფარგლებში უზრუნველყოფილ იქნა ტერიტორიაზე არსებული ყველა ფართის ხელმისაწვდომობა, უოლტერ რიდის კვლევითი ინსტიტუტის (WRAIR), ლუგარის ცენტრის დამქირავებელი ერთეულის მიერ გამოყენებული ყველა ფართის ჩათვლით. შეფასება განხორციელდა ორ ჯგუფად დაყოფილი ვიზიტორთა გუნდის მიერ. ორივე ჯგუფმა სრულად გაიარა ერთიდაიგივე მარშრუტი დაწესებულებაში, ყველა BSL-2 ლაბორატორიის ჩათვლით. დამატებით, ვიზიტორთა გუნდის ოთხი ექსპერტი დაშვებულ იქნა BSL-3 ლაბორატორიის ყველა სივრცეში.
2. ვიზიტის დროს გუნდის მიერ გამოყენებული მეთოდები მოიცავდა: ლაბორატორიული საქმიანობისა და აღჭურვილობის, მექანიკური სისტემების, საწყობების და ადმინისტრაციული ფართების, ინფრასტრუქტურისა და უსაფრთხოების ზომების ვიზუალურ შემოწმებას; ვიზუალურ ხელმისაწვდომობას ქაღალდზე არსებულ დოკუმენტებთან და ელექტრონულ ჩანაწერებთან; ლაბორატორიის თანამშრომელთა გამოკითხვას; პათოგენების აღრიცხვის კონტროლის სისტემის (PACS) დემონსტრირებას; და პათოგენებისა და ტოქსინების კონტროლისა და მოძრაობის პროცედურებს. მხედველობაში იქნა მიღებული 2018 წელს წარდგენილი ნდობის განმტკიცების ზომების ფორმაში მოცემული ინფორმაცია და სხვა მიწოდებული ინფორმაცია, აგრეთვე, ის ინფორმაცია, რომელიც ვიზიტის დროს იქნა შემოწმებული.
3. ლაბორატორიული სივრცეების ფართი, პერსონალის რაოდენობა, სამეცნიერო დისციპლინების წარმომადგენლები სამეცნიერო/საინ-

ქინრო პერსონალში და ინფორმაცია პათოგენებისა და ტოქსინების ტიპების შესახებ, რომლებზეც მუშაობენ და შეისწავლიან დაწესებულებაში, თანხვედრაში იყო ნდობის განმტკიცების ზომების ფორმაში მოცემულ და სხვა ინფორმაციასთან, რომელიც მიწოდებულ იქნა ვიზიტორთა ჯგუფისთვის.

4. ფიზიკური დაცვის ზომები მოიცავდა უსაფრთხოების პერიმეტრზე დამცავ ღობეს, მეთვალყურეობისა და მონიტორინგის სისტემას, უსაფრთხოებაზე შემოწმებას, დაცვის პერსონალს და დაშვების კონტროლის რამდენიმე დონეს (დაშვების ბარათები, PIN კოდი, ბიომეტრიული მოწყობილობები, გასაღებები და ა.შ.), რათა თავიდან იქნას აცილებული სენსიტიურ ზონებში არასანქცირებული წვდომა. თანამშრომლები და სტუმრები საჭიროებენ საიდენტიფიკაციო „ბეიჯებს“. ყველა სტუმარი ვალდებულია დაწესებულებაში შესვლამდე მინიმუმ 72 საათით ადრე შეავსოს ვიზიტორის დაშვების ფორმა და მათ ესკორტირებას უწევს დაწესებულების პერსონალი. ყველა თანამშრომელი, მათ შორის, კონტრაქტორები, დასუფთავებისა და ტექნიკური პერსონალი, ვალდებულია რეგულარულად გაიაროს უსაფრთხოების საკონტროლო შემოწმება.
5. აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა, რომელიც შემოწმებულ იქნა დაწესებულებაში შეესაბამებოდა პროფილაქტიკურ, დამცავ და სხვა მშვიდობიან კვლევას და დიაგნოსტიკურ მიზნებს, რომელიც დადგენილია ამ დაწესებულების მიერ. რამდენიმე ლაბორატორია აკრედიტებულია საერთაშორისო სტანდარტებით, როგორცაა ISO და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია. წარმოდგენილი ბიოუსაფრთხოებისა და ბიოლოგიური დაცვის ზომები აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს.
6. პათოგენები, რომლებზეც დაწესებულებაში მუშაობენ, ინახება საცავში და მათზე წვდომის კონტროლისა და ინვენტარიზაციის მართვის პროცესი, აუდიტის ჩათვლით, დეტალურად იქნა განმარტებული ვიზიტორთა გუნდისთვის. აგრეთვე, გუნდი გაეცნო პათოგენთა აღრიცხვის კონტროლის სისტემას (PACS). შენახული პათოგენური შტამები შესაბამისობაშია პროფილაქტიკური, დამცავი და სხვა მშვიდობიანი მიზნებისთვის გამოყენებასთან. ცენტრს ჰყავს საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ასოციაციის (IATA) მიერ სერტიფიცირებული მომზადებული პერსონალი, რომელსაც შეუძლია საშიში მასალების გაგზავნა-მიღების უზრუნველყოფა. ადგილზე ხორციელდება დეკონტამინაციის პროცესები და ნარჩენების მართვის პროცედურები, რაც დეტალურად იქნა განმარტებული ვიზიტორთათვის.

7. გუნდის მოთხოვნის საფუძველზე, ასევე წარმოდგენილ იქნა დოკუმენტაცია, მათ შორის, ეროვნული ნორმატიული აქტები, რომლებიც შეესაბამება ბიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის აკრძალვის კონვენციის (ბტიკ) განხორციელებას, ხარისხისა და ბიოუსაფრთხოების სახელმძღვანელოები, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების და მომზადების სტანდარტული ოპერაციული პროცედურები (SOP), ჩანაწერები: ბიოუსაფრთხოების კომიტეტის სხდომის, ტექნიკური მომსახურების, პერსონალის ტრენინგების შესახებ (ტექნიკური, ბიოუსაფრთხოების, ბიოდაცვის და საგანგებო სიტუაციების სავარჯიშოები და ა.შ.), ორმაგი დანიშნულების შესახებ ბიოეთიკის ნორმებზე, მათ შორის, ბტიკ ვალდებულებებზე, ტრენინგის დღის წესრიგი და განრიგი.
8. ვიზიტის ფარგლებში, სამეცნიერო და ტექნიკური ექსპერტიზის მქონე პერსონალის გარდა, ხელმისაწვდომი იყო ტექნიკურ, საინჟინრო, უსაფრთხოების, ადმინისტრაციულ და ოპერატიულ პერსონალთან გასაუბრება და კითხვებზე პასუხის მიღება. ვიზიტის ფარგლებში ლაბორატორიის პერსონალი და ესკორტის წარმომადგენლები სრულად იყვნენ ჩართულნი პროცესში, მზად იყვნენ კითხვებზე და მოთხოვნებზე საპასუხოდ, დაწესებულების ტერიტორიის დათვალიერების, დოკუმენტაციის გაცნობისა და ინფორმაციის მიღების თაობაზე. ამ ინტერაქციამ შექმნა საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის საშუალება. ლაბორატორიის თანამშრომლებმა გამოხატეს სურვილი მომავალში მონაწილეობა მიიღონ ხარისხის გარე კონტროლის უზრუნველყოფის საერთაშორისო სწავლებაში.
9. ბიოუსაფრთხოების, ბიოლოგიური დაცვის და ორმაგი დანიშნულების კვლევის პროცედურები, პათოგენებთან და ტოქსინებთან მოპყრობა და მათი მოძრაობა, ბიოუსაფრთხოებისა და ბიოლოგიური დაცვის შესახებ განათლება და ცნობიერების ამაღლების პროგრამები და სხვა აღნიშნული ზომები, ცხადყოფენ დაწესებულების მზადყოფნას ბტიკ-ის III და IV მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე. ინფორმაცია, ასევე, მიწოდებულ იქნა რეგიონული და საერთაშორისო დახმარების და თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებების შესახებ, რომელიც შეესაბამება ბტიკ-ის X მუხლის მოთხოვნებს.
10. დაწესებულებამ მნიშვნელოვანი გამჭვირვალობა აჩვენა თავისი საქმიანობის შესახებ. ვიზიტორთა გუნდმა ვერ აღმოაჩინა პროფილაქტიკურ, დაცვით ღონისძიებებთან და სხვა მშვიდობიან მიზნებთან რაიმე სახის შეუსაბამობა.

11. ვიზიტორთა გუნდი მადლობას უხდის ლუგარის ცენტრის და მთლიანად დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თანამშრომლებს, ესკორტის გუნდს და ყველა სხვა ჩართულ ოფიციალურ პირს, მიღებისა და თანამშრომლობისათვის ვიზიტის ფარგლებში.